უცხო მინდვრის ნაცნობი სენი

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 5 ივლისი, 12.000 მაყურებელი.

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:0.

მოსკოვი: უვაროვი, სილკინი, პოზდნიაკოვი, ფომიჩოვი, გოლოვნია, ბულანოვი, ატაულინი, პუდიშევი, ბოროდიუკი, კობელევი, ვასილიევი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, მიქაბერიძე, კაკილაშვილი, ჟორდანია, სულაქველიძე, გოგრიჭიანი, ცაავა, შენგელია.

82–ე წთ. პუდიშევი.

46–ე წთ. ჟორდანიას ნაცვლად – ჩქარეული, 49–ე წთ. ატაულინის ნაცვლად – მენტიუკოვი, 75–ე წთ. კობელევის ნაცვლად – ხაპსალისი, 79–ე წთ. გოგრიჭიანის ნაცვლად – მახარაძე.

კარში დარტყმა – 11:10 (3:4), ზუსტი დარტყმა 4:5 (0:3), საჯარიმო მოედნიდან – 7:4 (2:2).

კუთხური – 5:3 (2:2).

დაჯარიმდნენ: მოსკოველები 14 (8), თბილისელები 11 (6).

მსაჯი მიხაილ კუსენი (ლვოვი).

დუბლიორები 3:1. თბილისელთაგან გოლი გაიტანა ფანცულაიამ.

თანდათან სულ უფრო ძნელი დასაჯერებელი ხდება, რომ მიმდინარე ჩემპიონატის დასაწყისში თბილისის “დინამო” არა მარტო სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში იმყოფებოდა, არამედ ერთხანს გათამაშებასაც ლიდერობდა. მოსკოვის დინამოელებთან განცდილი მარცხი ჩვენი ფეხბურთელების ზედიზედ მესამე წაგება გახლდათ. ბოლო რვა შეხვედრაში კი მათ ასეთ მაჩვენებელი აქვთ: ერთი მოგება, ორი ფრე, ხუთი წაგება. როცა ამ ციფრებს უყურებ, ისიც კი გიკვირს, როგორ ინარჩუნებს ჩვენი გუნდი ადგილს პირველ ექვსეულში. თუმცა, ერთიც ნათელია: თუ ასე გაგრძელდა, მალე შეიძლება უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე მოგვიხდეს ფიქრი.

დღევანდელი მოსკოვის “დინამო”, რბილად რომ ვთქვათ, არ მიეკუთვნება საბჭოთა ფეხბურთის გრანდებს. ამჟამად ეს არის ის გუნდი, რომელსაც წამდაუწუმ ემუქრება უძლიერესთა ეშელონის დატოვება, ამ მხრივ მისთვის არც წლევანდელი ჩემპიონატია გამონაკლისი. ერთ დროს სახელოვანი კოლექტივის კრიზისის ერთ–ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი მწვრთნელთა გაუთავებელი ცვლაა. უკანასკნელი ცვლილება, როგორც ცნობილია, სულ ახლახან მოხდა – გუნდს სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ედუარდ მალოფეევი. ამბობენ, ახალი ცოცხი კარგად გვისო. იქნებ მეტისმეტად კატეგორიულ განცხადებად მოგეჩვენოთ, მაგრამ მალოფეევის მოსვლით მოსკოვის “დინამოს” მაინცდამაინც მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები არ დასტყობია. გუშინდელ მატჩამდე მოსკოველებმა საკუთარ მოედანზე ჩატარებულ შეხვედრებშიც კი ვერ მიაღწიეს დადებით ბალანსს. მით უფრო სამწუხაროა, რომ ეს ბალანსი სწორედ თბილისის “დინამოსთან” შეხვედრამ გააწონასწორა.

რა თქმა უნდა, მორიგი მარცხის მიზეზები შეიძლება იმაშიც ვეძიოთ, რომ სვანაძისა და არზიანის ტრავმებმა მწვრთნელები აიძულა გადაეხალისებინათ შემადგენლობა. კეტაშვილმა მარცხენა მცველის ადგილი დაიკავა, მიქაბერიძეს კი მარჯვენა ფლანგზე დაეკისრა იგივე ფუნქცია. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ნახევარდაცვაში კვლავ ვიხილეთ ჟორდანია, რომელმაც ვერ გაამართლა გუნდის

ხელმძღვანელთა მოლოდინი. პირველი ტაიმის შემდეგ იგი ისევ სათადაროგოთა სკამზე აღმოჩნდა. ეს ცვლილებები გარკვეული სიძნელეების წინაშე აყენებდა სტუმრებს, მაგრამ ახლა მასპინძლებისკენაც გავიხედოთ. ვფიქრობ, ორი ძირითადი თავდამსხმელის (გაზაევი, სტუკაშოვი) არყოფნა, მეტი თუ არა, არზიანისა და სვანაძის არყოფნის ტოლფასი მაინც არის.

ასე რომ, ალბათ ზედმეტია დანაკარგებზე საუბარი, რადგან ფეხბურთში ეს ჩვეულებრივი ამბავია და არც ერთი გუნდი არ არის დაზღვეული ამგვარი შემთხვევებისაგან. თბილისელებს რამდენჯერმე ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა. მე–11 წუთზე ჭედია–შენგელია–ცაავას, ოცი წუთის შემდეგ კი კაკილაშვილ–ცაავას კომბინაციები უშედეგოდ დასრულდა.

სახიფათო სიტუაციები თბილისელთა კართანაც იყო. რამდენჯერმე კარგად ითამაშა გაბელიამ, ერთხელ კი, 65–ე წუთზე, როცა კობელევმა თავზე გადაუგდო ბურთი სტუმართა მეკარეს, თანაგუნდელები კეტაშვილმა იხსნა.

მეორე ტაიმის დასაწყისში შედარებით აქტიურობდა სულაქველიძე, იგი ერთადერთი იყო თბილისელთაგან, ვინც შორიდან ცდილობდა კარში დარტყმას. თუმცაღა 82–ე წუთზე მისივე უხეში შეცდომით ისარგებლა პუდიშევმა და ამ მატჩის ერთადერთი გოლიც გაიტანა. საერთოდ კი შეხვედრამ ძალზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. საჭიდაო ხალიჩაზე ასეთ მეტოქეებს, როგორც წესი, შეჯიბრებიდან ხსნიან. სამწუხაროდ, ფეხბურთის არბიტრს ამგვარი უფლება არა აქვს. ისე კი, არც მოსკოველი, არც თბილისელი დინამოელები გამარჯვების ღირსნი არ იყვნენ. ეს არის, ბედმა უფრო მასპინძლებს გაუღიმათ.

დავით კაკაბაძე (ტელეფონით, “ლელოს”, სპეც. კორ.). მოსკოვი.
“ლელო”, 6 ივლისი, 1985 წ.